სსიპ კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დირექტორი

22/09/2025

N 214

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

კონკურსის „სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმების ქართულ-უცხოური ერთობლივი წარმოების (კოპროდუქცია) დაფინანსება“ გამოცხადებისა და საკონკურსო პირობების დამტკიცების შესახებ

„ეროვნული კინემატოგრაფიის სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ“ საქართველოს კანონის, „სსიპ – საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის საკონკურსო დებულებისა და საექსპერტო კომისიის დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს კულტურისა და სპორტის მინისტრის 2024 წლის 25 მარტის №05/36 ბრძანებისა და სსიპ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის ფილმწარმოების დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2025 წლის 22 სექტემბრის №1-468 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. 2025 წლის 22 სექტემბერს, გამოცხადდეს კონკურსი „სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმების ქართულ-უცხოური ერთობლივი წარმოების (კოპროდუქცია) დაფინანსება“ და დამტკიცდეს საკონკურსო პირობები ამ ბრძანების დანართის შესაბამისად.

2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64).

მამუკა ბლიაძე

დირექტორი

ელექტრონული ხელმოწერა • QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE •